ღვაზრეულობის ამბავი

ერთხელ, ვახშმობისას,
თამთამ თავის ოჯახს
მშვენიერი იდეა
შესთავაზა. ეს ამბავი ასე
მოხდა:

- გახსოვთ ადრე, რამდენიმე
წლის წინ, პიკნიკზე რომ ვიყავით?
თქვა თამთამ.

თამთას უმცროსმა ძმამ, გიგომ, მაშინვე წამოიძახა:

- მახსოვს! მაგარი ადგილი იყო, იქვე ახლოს მდინარე ჩამოდიოდა და ყველამ ერთად გავუშვით ნავები. მერე ვუყურებდით ვისი ნავი გაცურავდა უფრო შორს. მაშინ მე გავიმარჯვე!

თამთამ ძმასთან შეკამათება სცადა, რადგან თვითონ ნავების და გამარჯვების ამბავი სულ სხვანაირად ახსოვდა, მაგრამ დროულად მოეგო გონს და თავის იდეას დაუბრუნდა.

- მოდი, კიდევ წავიდეთ, რა, თქვა თამთამ.

- ხომ იცი არ გამოვა, ან დედას არ ეცლება, ან მამას გამოუჩნდება გადაუდებელი საქმე, მოწყენილი ხმით თქვა გიგომ.



- სხვათა შორის, სულაც
არ არის შეუძლებელი,
ჩაერთო ლაპარაკში მამა.



- შეგვიძლია ამ შაბათ-კვირას წავიდეთ, გააგრძელა მამამ.
- რა მაგარია! ერთხმად წამოიძახეს გიგომ და თამთამ.

დათქმულ დღეს
ყველაფერი ისე მოხდა,
როგორც ხდებოდა ხოლმე.
ჯერ ყველანი მანქანაში
ჩალაგდნენ.




მერე პიკნიკისთვის
შერჩეული ადგილისაკენ
გაემგზავრნენ.

მერე დედამ პიკნიკისთვის გამზადებული ბუტერბროდებიანი კალათა მოიკითხა.
ბუტერბროდების კალათა მანქანაში არ აღმოჩნდა.
ამიტომ მამამ მანქანა სახლი-საკენ მოატრიალა.

ყველანი მანქანიდან
გადმოლაგდნენ.

მერე დედამ
ბუტერბროდებიანი
კალათა
მოიტანა.

მერე ყველანი ხელახლა
ჩალაგდნენ და პიკნიკისთვის
განკუთვნილი ადგილისაკენ
გაემგზავრნენ.

ბოლოს და ბოლოს
ხმაურიანი ოჯახი ტყის
პირას ლამაზ მდელოზე
აღმოჩნდა.

ბავშვები სწრაფად გადმოვიდნენ
მანქანიდან და გარემოს შესწავლა დაიწყეს.

გიგომ სპეციალურად ასეთი
შემთხვევებისათვის
მომზადებული ბაბუას
ნაჩუქარი დიდი
გამადიდებელი შუშა
მოიმარჯვა და მდელოს
თვალიერება დაიწყო.

ჯერ ყვავილებისა და ბალახების ღეროების თვალიერებით დაიწყო, მერე სხვადასხვა მწერზე გადაერთო და ბოლოს, თავისი გამადიდებელი შუშით, მოფუსფუსე ჭიანჭველების გუნდი შენიშნა.



გიგო ისე გაერთო ჭიანჭველების თვალიერებით, რომ ვერც კი შენიშნა როგორ გავიდა დრო.

ამასობაში მისმა მშობლებმა თამთასთან ერთად ყველაფერი მოამზადეს. მინდორში პიკნიკისთვის განკუთვნილი გადასაფარებელი გაშალეს. საჭმელი დაალაგეს.

ყველაფერს რომ მორჩნენ, გიგოსაც დაუძახეს.

გიგო ისე იყო გართული ჭიანჭველების თვალიერებით, რომ არაფერი ესმოდა.

ბოლოს თამთამ მიირბინა თავის ძმასთან და საგანგებოდ მიიწვია „სუფრასთან“. გიგომ თამთას ქვევიდან ახედა და მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, თავის დაიკოს უნდა გაჰყოლოდა.

„სუფრასთან“ მჯდომ გიგოს
თვალი უკან, მოფუსფუსე
ჭიანჭველებისაკენ გაურბოდა.

ბოლოს მამამ გიგოს ჰკითხა:
- ჩვენზე საინტერესო რა ნახე
მდელოს იქითა კუთხეში, სულ რომ
აღარ გაინტერესებთ?

- მე მგონი, უფრო გასაკვირი ის არის, რომ ჭიანჭველები ამ ყველაფერს უბრალოდ სახლში კი არ მიეზიდებიან, არამედ აგროვებენ, თქვა მამამ.

- რა ვნახე და ჭიანჭველები, რომლებიც თავისზე დიდ ნივთებს მიეზიდებოდნენ. ვერ ვხვდები, ამხელა ძალა საიდან აქვთ. პატარა ჭიანჭველებისათვის იმხელა ნივთები ხომ იგივეა, ახლა თამთამ ჩვენი მანქანა ხელში რომ აიღოს და სახლისკენ წამოიღოს, გაიცინა გიგომ.


- მოგროვებაში აბა რა უნდა იყოს გასაკვირი? უპასუხა გიგომ.
- ის, რომ მწერების დიდი ნაწილი არც არაფერს აგროვებს და ზამთრის მოახლოებისას, სიცივის დადგომასთან ერთად იღუპება, თქვა მამამ.

- ეს პატარა არსებები ზოგიერთ ადამიანზე უფრო გონივრულადაც იქცევიან. აგროვებენ და მერე მოგროვებულ რესურსებს საჭიროების მიხედვით ანაწილებენ, დაამატა დედამ.
- ეს როგორ?
იკითხა გიგომ.


- აი, ნახე, ჭიანჭველები ირგვლივ მდელოზე დადიან და საკვებს, საშენ მასალას და კიდევ ათას რამეს ეძებენ.
სახლში მიტანილ ნივთებს ახარისხებენ და შავი დღისთვის ინახავენ. ამ ყველაფრის მოგროვება სულაც არ არის მათთვის ადვილი. უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდებათ, მაგრამ მაინც აგროვებენ, სიძნელეების წინაშე მოუმზადებლები რომ არ აღმოჩნდნენ.
მაგალითად, საჭმელს რომ პოულობენ, იქვე კი არ მიირთმევენ, სახლში მიაქვთ.
ბევრი ადამიანი კი, ამ პატარა არსებებისგან განსხვავებით, ამდენს ვერ ხვდება.

- მეც ვაგროვებ ფულს ჩემს ყულაბაში თქვა თამთამ, ოღონდ გასაჭირისთვის კი არა, უბრალოდ, ერთი რაღაცის ყიდვა მინდა.

- ძალიან კარგი, შენც გონიერი არსებასავით იქცევი, თქვა დედამ და მამას გადახედა.
აი, ბევრი ადამიანი კი ასე არ აკეთებს. საერთოდ არ აგროვებს ფულს, ბანკში მხოლოდ კრედიტის ასაღებად მიდის, თქვა დედამ.

- რა არის კრედიტი ?
იკითხა გიგომ.

- კრედიტი ბანკისგან ფულის სესხებას ჰქვია. აი, თუ რაღაცისათვის უცებ დაგჭირდა ფული, მაშინ შეგიძლია ბანკში მიხვიდე და ფული გამოართვა. ოღონდ, ბანკს თუ გამოართვი ფული, მერე უფრო მეტის დაბრუნება მოგიწევს, აუხსნა თავის პატარა ძმას თამთამ.

- ჩვენც ვაგროვებთ სახლში ჭიანჭველებივით რამეს? იკითხა გიგომ.
- კი, მე ვაგროვებ და კრედიტი საერთოდ არ მჭირდება. სკეიტბორდს ჩემი მოგროვებული ფულით ვიყიდი.

- მე და მამაც ვაპირებთ, რომ ბანკში შემნახველი ანგარიში გავხსნათ, თქვა დედამ.

ბავშვებმა მამას გახედეს. მამამ დასტურის ნიშნად თავი დააქნია.


- სახლში შეიძლება ათასი რამ მოხდეს.
მაგალითად, ჩვენი კატა შეიძლება გამოედოს ყულაბას და როგორც წინა კვირას ლარნაკი გაგვიტეხა, ასე შეიძლება ყულაბაც გატეხოს.
მართალია, ბანკში ფულის მოგროვებაში სხვები ვერ დაგვეხმარებიან, მაგრამ ასე მაინც უფრო უსაფრთხოა.
აი, შემნახველი ანგარიში კი ისეთი ანგარიშია, რომელზეც ბანკიც გიმატებს რაღაც თანხას. შენ აგროვებ ფულს ბანკში და ცოტას ბანკიც გეხმარება.


- მეც მინდა შემნახველი ანგარიში, თქვა გიგომ.

- სხვათა შორის, არ არის ცუდი აზრი, თქვა დედამ. შენც და თამთასაც გაგიხსნით ანგარიშს.


გიგო, თამთა, მამა და დედა კიდევ დიდი ხანი საუბრობდნენ. მერე ყველამ ერთად ითამაშა.
მერე კიდევ ისაუბრეს, მერე კიდევ ითამაშეს.
ბოლოს ყველაფერი აალაგეს და სახლისაკენ გაეშურნენ.
ჭიანჭველები კი აუჩქარებლად მუშაობდნენ, ათას რამეს ეზიდებოდნენ, სახლში კი მზის ჩასვლამდე დაბრუნდნენ.

დასასრული

მხატვარი: თინა ჩერტოვა
ავტორი: სანდრო ასათიანი

Finanzgruppe
Sparkassenstiftung für
internationale Kooperation

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

german
cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

საქართველოს ბანკების ასოციაცია

www.grovia.com.ge